

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი №6

ქ. თბილისი

27.11.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნინო ოკრიბელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, მედიცინის ფაკულტეტის ფსიქიატრიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

გრიგორ ტატიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო დობორჯგინიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი, საბჭოს მდივანი;

ლაშა გოცირიძე - ა(ა)იპ - ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის დირექტორი;

თამარ გამსახურდია - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი;

ირაკლი მჭედლიშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

დავით კახნიაშვილი - ა(ა)იპ - არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის თავმჯდომარე;

გიორგი ვეკუა - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის დეპარტამენტის დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი გიორგიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

თამარ შენგელია - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წარმომადგენელი:

დავით აფრასიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. შპს ევროპის უნივერსიტეტი:

თამარ კერძაია - ვიცე-რექტორი;

გ. თეთრაძე - წარმ.

თამარ ზარგინავა - ვიცე-რექტორი;

მაია ხურცილავა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

მაია ადვაძე - პრორექტორი;

გოჩა თუთბერიძე - ვიცე-რექტორი;

ლევან მადათოვი - სტრატეგიული განვითარების მენეჯერი;

იოსებ კელენჯერიძე - დეკანი;

კახაბერ გოშაძე - დეკანის მოადგილე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 18:13 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო ოკრიბელაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26⁵-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 26⁷-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ, ავტორიზაციის დებულების 26⁶-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოდან სხდომას ესწრებოდა საბჭოს თავმჯდომარე, დავით აფრასიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ევროპის უნივერსიტეტის №7482 (ცენტრში რეგისტრაციის №1262513) სააპელაციო საჩივრის განხილვა;
2. შპს ევროპის უნივერსიტეტის №7483 (ცენტრში რეგისტრაციის №1262659) სააპელაციო საჩივრის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე წარმოადგინა შუამდგომლობა განსახილველი საკითხების ადგილმონაცვლეობის თაობაზე, კერძოდ, ჯერ განხილულიყო მეორე საკითხით გათვალისწინებული სააპელაციო საჩივარი, რომელიც შეეხებოდა დაწესებულებისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდაზე უარის თქმას, ხოლო მეორე საკითხად

ნ. თეთრე-ჭი

განხილულიყო სააპელაციო საჩივარი, რომელიც შეეხებოდა დაწესებულებისათვის სტუდენტთა მიღების უფლების 3 წლის ვადით შეზღუდვას.

საბჭოს წევრი, ლაშა გოცირიძე დაინტერესდა, თუ რით იყო განპირობებული აღნიშნული შუამდგომლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დღის წესრიგში აღნიშნული ცვლილების განხორციელება, წარმოადგენდა მათი შეფასებით ტექნიკურ საკითხს.

საბჭოს წევრები დაეთანხმნენ წარმოდგენილ შუამდგომლობას. შესაბამისად, საბჭომ დაამტკიცა სხდომის ახალი დღის წესრიგი. გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრმა, ლაშა გოცირიძემ.

1. შპს ევროპის უნივერსიტეტის №7483 (ცენტრში რეგისტრაციის №1262659) სააპელაციო საჩივრის განხილვა;
2. შპს ევროპის უნივერსიტეტის №7482 (ცენტრში რეგისტრაციის №1262513) სააპელაციო საჩივრის განხილვა.

შესაბამისად, ხმათა უმრავლესობით საბჭომ წარმოდგენილი სახით დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

ბ. თეთრ-ჭიკ

1. შპს ევროპის უნივერსიტეტის №7483 (ცენტრში რეგისტრაციის №1262659) სააპელაციო საჩივრის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და საჩივართან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, 2018 წლის 14 აპრილს შპს ევროპის უნივერსიტეტმა ცენტრში წარმოადგინა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადი. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა გონივრული განსჯისა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების საფუძველზე, კერძოდ, დაწესებულების მიერ ორჯერ მეტად გაზრდილ იქნა ფართი 2 000 დან - 7 000 კვ.მ-მდე, განახლდა ინფრასტრუქტურა მოქმედი სტანდარტების შესაბამისად, გათხზა აკადემიური პერსონალის რაოდენობა, ამასთან ხარისხობრივი თვალსაზრისითაც გაუმჯობესდა. რაოდენობრივად და ხარისხობრივად გაიზარდა ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობაც. მოეწყო ახალი ლაბორატორიები, ხოლო ძველი განახლდა მოქმედი სტანდარტების შესაბამისად. დაწესებულების წარმომადგენლებისგან შემდგარი ჯგუფის მიერ შემუშავდა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის გონივრული მეთოდოლოგია და აღნიშნულის საფუძველზე მოხდა სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვა. ამასთან, შპს ევროპის უნივერსიტეტი წარმოადგენდა მხარდამჭერ დაწესებულებას „Study in Georgia“ პროექტის, რომლის ფარგლებშიც დაწესებულების მიერ განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო დონეზე, მათ შორის მატერიალური და ფინანსური რესურსების ინვესტირების თვალსაზრისითაც. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად, დაწესებულებამ განიცადა მძიმე რეპუტაციული და მატერიალური ზიანი. საბჭოს გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა არსებითი სამართლებრივი დარღვევებით. დარღვევები გამოვლინდა წარმოების ვადებთან მიმართებით, რაც სამართლებრივი თვალსაზრისით ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის წარმოების ვადა წარმოადგენდა 90 დღეს, რომელიც დარღვეულ იქნა 36 დღით. დარღვეულ იქნა ასევე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის წარმოდგენის ვადა, ვიზიტის შესახებ ბრძანების თანახმად, ექსპერტთა ჯგუფს 5 სამუშაო დღე ჰქონდა განსაზღვრული დასკვნის პროექტის ცენტრში წარმოსადგენად. დაწესებულებამ დასკვნის პროექტი მიიღო 31 დღის დაგვიანებით. დარღვეულ იქნა ასევე სხდომის მოწვევის ვადები, კერძოდ, 7 კალენდარული დღით ადრე უნდა ყოფილიყო დაწესებულება ინფორმირებული საბჭოს სხდომის შესახებ, რომელიც უდაოდ დარღვეულ იქნა. დაწესებულებამ ცენტრს წერილობით მიმართა და ითხოვა გონივრული ვადით საკითხის განხილვის გადადება, რათა მისცემოდათ

ე.ოქოძე-ჭან

შესაბამისი დრო არგუმენტირებულად წარმოედგინათ პოზიცია, რომელიც მთლიანად შეცვლიდა არსებულ მდგომარეობას. აღნიშნულის თაობაზე, დაწესებულებამ ცენტრისგან მიიღო სამართლებრივად გაუმართლებელი პასუხი, რომ მათ არ მიეცემოდათ დამატებითი დრო. ასევე, გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ სხდომა ჩანიშნული იყო აგვისტოს თვეში და დაწესებულების თანამშრომელთა უმრავლესობა იმყოფებოდა შვებულებაში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 34-ე მუხლის თანახმად, სხდომაზე მოწვევის ვადის დარღვევა წარმოადგენდა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველს. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დარღვევები გამოვლინდა ასევე, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში და საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში. ავტორიზაციის დებულების 34-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ექსპერტთა ჯგუფს დაწესებულების სტუდენტთა ადგილების გაზრდის მოთხოვნა უნდა განეხილა მხოლოდ ამ მუხლის ფარგლებში. ექსპერტთა ჯგუფი აფასებდა დაწესებულების განაცხადსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით. რაც შეეხებოდა ამ მუხლში მოხსენიებულ წერილობითი განაცხადის ფორმას, ასეთი დოკუმენტი ცენტრის მიერ არ იყო ამ დრომდე წარმოდგენილი. ექსპერტთა ჯგუფი გაცდა კომპეტენციის ფარგლებს და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის წარმოების ფარგლებში დაწესებულება შეფასდა შვიდივე სტანდარტის მიხედვით ავტორიზაციის სრული პროცედურის დაცვით. აღნიშნულის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა და საბჭომ გადააჭარბა მათთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას. ექსპერტთა ჯგუფს უნდა შეეფასებინა დაწესებულების რესურსები, სტუდენტთა ადგილების გაზრდის მოთხოვნის შესაბამისად. ამასთან, ავტორიზაციის დებულების 33¹-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, საბჭო უფლებამოსილი იყო დათანხმებოდა საგანმანათლებლო დაწესებულების მოთხოვნას ან შეემცირებინა მის მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა ადგილების რაოდენობა. საბჭო ვალდებული იყო დაესაბუთებინა თავისი გადაწყვეტილება. ზემოთჩამოთვლილი დარღვევები სამართლებრივი თვალსაზრისით განაპირებებდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველს.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება მისცა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარეს, დავით აფრასიმეს.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის, განცხადებით, სხდომის ოქმში ნათლად იყო ასახული ის გარემოებები, რასაც დაეყრდნო საბჭო გადაწყვეტილების მიღების დროს. ყველა ის საკითხი, რომელიც განხილული იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში და ასევე, ზეპირი განხილვის დროს ეხებოდა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიასა და დაწესებულების გადაცდომებს სტუდენტთა კონტინენტის გადაჭარბებასთან მიმართებით. დავით აფრასიმის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციების შინაარსისა და იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ სასწავლო უნივერსიტეტს უფიქსირდებოდა, როგორც სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გადაჭარბება, ასევე უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის, კერძოდ: ავტორიზაციის დებულების,

ნ. თაყაიშვილი

„საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის“, „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის“ დარღვევის ფაქტები, საბჭომ მიიჩნია, რომ სასწავლო უნივერსიტეტში არსებული რესურსები და მიმდინარე პროცესები არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ დაწესებულებას გაეზარდა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დავით აფრასიძემ ასევე აღნიშნა, რომ როგორც ექსპერტთა ჯგუფისთვის, ისე საბჭოს სხდომაზე ზეპირი მოსმენისას დაწესებულების წარმომადგენლების მიერ მცდარი ინფორმაცია იქნა მიწოდებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გადაჭარბებასთან დაკავშირებით, კერძოდ, მათი განცხადებით გადაჭარბება გამოწვეული იყო სტუდენტთა მიერ სტუდენტის სტატუსის აღდგენებით. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაშიც იყო დაფიქსირებული და ზეპირ სხდომაზეც მიმართა საბჭომ ცენტრს აღნიშნული საკითხის დაზუსტების მიზნით, რაზეც მოწოდებულ იქნა ინფორმაცია, რომ გადაჭარბება განპირობებული იყო სტუდენტების ჩარიცხვების საფუძველზე. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული იყო ასევე სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები, რომლებიც მათ მიერ უარყოფითად იყო შეფასებული. აღნიშნული გარემოებების საფუძველზე, საბჭოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება უარი თქმოდა დაწესებულებას სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის თაობაზე. ასევე მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ ყველა ის დეტალი რომელიც დაფიქსირებული იყო დაწესებულების სააპელაციო საჩივარში და აღნიშნულ სხდომაზეც აპელირებდა დაწესებულების წარმომადგენელი, არ იქნა განხილული დაწესებულების წარმომადგენლების მიერ ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე.

ცენტრის წარმომადგენლის თამარ შენგელიას განმარტებით, ავტორიზაციის საბჭო გადაწყვეტილებას იღებდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. წარმოების ფარგლებში პროცედურული, მათ შორის ვადების შესაძლო დარღვევის ფაქტი არ წარმოადგენდა საბჭოს განხილვის საგანს. აღნიშნული საკითხები წარმოადგენდა ცენტრსა და დაწესებულებას შორის სამართლებრივი განხილვის საგანს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ზემოაღნიშნულ შესაძლო დარღვევებს არ შეეძლოთ დამდგარ შედეგზე, საბჭოს გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდება.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულების მიერ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გადაჭარბების საკითხი არ უნდა ყოფილიყო ექსპერტთა ჯგუფისა და ავტორიზაციის საბჭოს მსჯელობის საგანი ავტორიზაციის დებულების 34-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად. მათი განსახილველი საკითხები იყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და შესაბამისი მეთოდოლოგია. ამასთან, სტუდენტთა ადგილების გადაჭარბების შემთხვევაში, ავტორიზაციის დებულების 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უნდა ემსჯელა დაწესებულებისათვის

ს. ივანიშვილი

ავტორიზაციის გაუქმების შესახებ და არა იმ გადაწყვეტილების თაობაზე, რაც იქნა გამოტანილი. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ცხრილის თანახმად, დაწესებულების მიერ სტუდენტების რაოდენობის გადაჭარბებას არ ჰქონდა ადგილი მარტიდან-ივლისის თვის ჩათვლით, მათ შორის დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის განხორციელების დროისთვისაც. ამასთან, ცენტრის მიერ ტექნიკურად გადაჭარბების ფაქტის გამოთვლა კონკრეტული დღისთვის წარმომადგენელმა პრობლემას სპეციალური პროგრამის არ არსებობის პირობებში. მისი განცხადებით, ასეთი ფაქტი რომც დამდგარიყო, ტექნიკური ხასიათის გადაჭარბებებს ადგილი ჰქონდა ასევე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შემთხვევაშიც. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვა. კერძოდ, საკონსულოს მოთხოვნიდან გამომდინარე მოხდა რექტორის მიერ არაერთი თანხმობის გაცემა ჩარიცხვის თაობაზე, იმ პირობებში როდესაც ეს სტუდენტები ჯერ არ იყვნენ საქართველოში ჩამოსულები. სხვა შემთხვევაში სტუდენტები ვიზებს ვერ იღებდნენ. ვიზების საკითხის გართულებამ განაპირობა პროვაიდერების უკმაყოფილება და ბევრი სტუდენტი საქართველოს ნაცვლად სხვა ქვეყნებში წავიდა სასწავლებლად. ამ ფაქტს მოწმობდა ასევე, ის გარემოება რომ 300 სტუდენტს დაწესებულებამ დაუბრუნა მათ მიერ წინსწრებით გადახდილი სწავლის საფასური. ამ სტუდენტების ამორიცხვას დაწესებულება გარკვეული პერიოდი ფიზიკურად ვერ ახერხებდა, სანამ ისინი ან მათი მინდობილი პირი შესაბამის განცხადებას არ დაწერდნენ. აღნიშნულის შესაბამისად, დაწესებულებას სტუდენტების კონტინგენტის ფაქტობრივი ხასიათის გადაჭარბება არ ჰქონდა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ასეთ გარემოებებს ადგილი ჰქონდა ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაზაში.

საბჭოს წევრი, გრიგორ ტატიშვილი დაინტერესდა, ქრონოლოგიურად დაწესებულებაში ჯერ მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა თუ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებული ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ წარდგენილი იყო ცენტრში განაცხადი სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის თაობაზე და იმ პირობებში, როდესაც უკვე ვიზიტიც იყო ჩანიშნული, აღნიშნულ ვიზიტამდე ერთი კვირით ადრე განხორციელდა დაწესებულებაში მონიტორინგის ვიზიტი 2 სტუდენტის მინდობილი პირის საჩივრის საფუძველზე. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა საბჭოს მიერ განსახილველი საკითხების ერთიანობაში განხილვას. თოთოეული საკითხი უნდა განხილულიყო ინდივიდუალურად შინაარსობრივი და პროცედურული თვალსაზრისით.

დავით აფრასიძის განმარტებით, განსახილველი საკითხები ერთმანეთთან პირდაპირ შინაარსობრივ ბმაში იყო და ვერ მოხდებოდა მათი მოწვეტილად განხილვა. მისი განცხადებით, ავტორიზაციის საბჭოს მიერ დაწესებულებასთან დაკავშირებული ორივე წარმოების საკითხების განხილვა შინაარსობრივად ერთიანობაში მოხდა. პროცედურული თვალსაზრისით, საბჭომ მიიღო ორი გადაწყვეტილება.

6. თეთრ-ჭიჩი

საბჭოს წევრმა, ლაშა გოცირიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ როგორ წარმოედგინათ მოვლენების განვითარება, კერძოდ, შეიცვლებოდა თუ არა ფაქტობრივი მდგომარეობა იმ პირობებში, თუ სახეზე არ იქნებოდა ადმინისტრაციული ვადების შესაძლო დარღვევის ფაქტები.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, წარმოების ვადების დაცვის შემთხვევაში მოხდებოდა დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის მოსამზადებლად დროის სრულყოფილად გამოყენება. ამასთან, მიზანშეწონილი იყო არსებითი დარღვევების განხილვისას, ყურადღება გამახვილებულიყო შინაარსობრივ და პროცედურულ დარღვევებზე. კერძოდ, როგორც ზემოთ აღნიშნა, ექსპერტთა ჯგუფს და საბჭოს, რომ ემსჯელა მხოლოდ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადისა და მეთოდოლოგიის ფარგლებში და არ გადაეჭარბებინათ უფლებამოსილების ფარგლებისათვის, დადებითი შედეგი უნდა დამდგარიყო დაწესებულებისათვის.

ცენტრის წარმომადგენელმა თამარ შენგელიამ განმარტა, რომ ავტორიზაციის დებულების 34-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, დაწესებულებას ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში ცენტრში წერილობით უნდა წარმოედგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. აღნიშნული ვადა დაწესებულებას არ შეზღუდვია და ამ ვადის დაცვით წარმოდგენილ იქნა ცენტრში არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც გადაგზავნილ იქნა ექსპერტთა ჯგუფისთვის და შემდგომში ავტორიზაციის საბჭოსთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ მათი მოსაზრებით, ცენტრის მიერ შეგნებულად არ მოხდა სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის განაცხადის ფორმის დამტკიცება. შესაბამისი ფორმის არ არსებობის პირობებში, ექსპერტებს ჰქონდათ სრული ინტერპრეტირების შესაძლებლობა. მათ შორის ცენტრის რექტრის სამმართველოდან დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვის და ცენტრის კონკრეტული თანამშრომლის მიერ აღნიშნული ინფორმაციის დასკვნაში ჩაწერის. დაწესებულების ინტერესის საგანს წარმოადგენდა თუ რატომ გაჭიანურდა დასკვნის პროექტის შემუშავება და რატომ მოხდა მონიტორინგის წარმოების დროში დამთხვევა. წარმომადგენლის მოსაზრებით, ადგილი ჰქონდა დაწესებულების მიზანმიმართულ დისკრედიტაციას. წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის და საბჭოს მიერ არ მოხდა იმ გარემოებების შეფასება, გამოხატავდა თუ არა მზაობას დაწესებულება თავისი რესურსების შესაბამისად გაეზარდა სტუდენტთა კონტინგენტი, ნაცვლად აღნიშნული საკითხებისა, მსჯელობა იყო სხვა არა რელევანტურ თემებზე. მისი განცხადებით, დაწესებულების შემოსავლის 100% ბრუნდებოდა დაწესებულების ბიუჯეტში შემდგომი განვითარების მიზნით და დამფუძნებლის მიერ არ ხდებოდა მოგების პირადი მიზნებისთვის გამოყენება. ნაცვლად აღნიშნულ გარემოებებზე ყურადღების გამახვილებისა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის ფარგლებში მოხდა მაგ. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ინდოელი სტუდენტების ინგლისური ენის კომპეტენციის დადგენის შემოწმება.

ნ. თეთრ-ჭიწი

დავით აფრასიძემ დამატებით დასძინა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები და საბჭოს სხდომის მიმდინარეობისას წამოჭრილი საკითხები დაკავშირებული იყო დაწესებულებისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის წარმოებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო ოკრიბელაშვილმა ავტორიზაციის საბჭოს ოქმიდან მოიხმო საბჭოს წევრის, მაგდა მადრაძის კითხვა, რომელიც დასმული იყო დაწესებულების წარმომადგენლების წინაშე. კერძოდ, დაწესებულების მიერ უცხოელი სტუდენტების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში, როგორ გეგმავდა დაწესებულება უცხო ენაზე სასწავლო პროცესის განმახორციელებელი პერსონალის მოძიებას. ოქმის თანახმად, აღნიშნულ კითხვაზე დაწესებულების წარმომადგენლების მიერ იყო განმარტება გაკეთებული, რომლის მიხედვითაც თუ ვერ მოხდებოდა ადგილობრივი ადამიანური რესურსის მოძიება, მოხდებოდა უცხოელი პერსონალის მოწვევა. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული იყო, რომ ვიზიტის დროს დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ადგილობრივი და უცხოელი პერსონალის მოძიების კონკრეტული გეგმა და ფინანსური გათვლები. სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, აღნიშნული გარემოების პირობებში, როგორ ესახებოდა დაწესებულებას საკითხის უკან დაბრუნების შემთხვევაში ამ საკითხის გადაწყვეტა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პერსონალის რაოდენობის გამოთვლა არ მომხდარა მიმდინარე წელს არცერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის წარმოების დროს. მათ შორის სტუდენტთა კონტინგენტის გამოთვლა არ განხორციელდა ამ დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის დოკუმენტის საფუძველზე. წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების ბიუჯეტი იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ საგანმანათლებლო პროცესში მოეწვიათ უცხოელი აკადემიური პერსონალი. ამასთან, ამ ეტაპზე დაწესებულებას მოწვეული ჰყავდა ბრიტანეთიდან პერსონალი მედიცინის მიმართულებით ახალი დარგობრივი მახასიათებლების დასაწერად.

საბჭოს წევრის, ირაკლი მჭედლიშვილის განცხადებით, დღის წესრიგში ცვლილების განხორციელება არ წარმოადგენდა სწორ გადაწყვეტილებას, რადგანაც დაწესებულების შუამდგომლობა არ იყო ტექნიკური ხასიათის და მიზანმიმართულად განხორციელდა, რადგანაც ამ საკითხის განხილვისას ისინი უფრო კომფორტულად გრძნობდნენ თავს. მისი განცხადებით, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე აპელირება არ წარმოადგენდა კოლეგიალურ დამოკიდებულებას. ამასთან, თუ დაწესებულება აწარმოებდა მონიტორინგს და ფლობდა ოფიციალურ მონაცემებს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სტუდენტთა კონტინგენტის გადაჭარბებასთან მიმართებით, მიზანშეწონილი იყო დაწესებულებას გადაცდომების შესახებ ეცნობებინა ცენტრისთვის და კონკრეტული დოკუმენტების გარეშე არ იყო გამართლებული ასეთი მსჯელობა. ირაკლი მჭედლიშვილი ასევე დაინტერესდა, თუ სად გადიოდნენ დაწესებულების სტუდენტები კლინიკური საგნებს.

ნ. ოკრიბელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებას 50-მდე კლინიკასთან ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულებები, სადაც გადიოდნენ კლინიკურ საგნებს. წარმომადგენელმა დამატებით დასძინა, რომ ცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ 2016 წელს ერთ-ერთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მოსწავლეების რაოდენობის გადაჭარბების პირობებში გაუზარდა მოთხოვნილი კვოტა. აღნიშნულის შესაბამისად, დაწესებულება მიიჩნეოდა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არათანაბარ პირობებში არ უნდა ჩაეყენებინა სხვადასხვა დაწესებულება, როდესაც ავტორიზაციის დებულების ერთი და იმავე მუხლი არეგულირებდა კონტინგენტის განსაზღვრის საკითხს.

საბჭოს წევრმა, ლაშა გოცირიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, მათი მოსაზრებით ჰქონდა თუ არა მნიშვნელობა დარღვევის სიმძიმეს. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, გადამწყვეტი ამ შემთხვევაში იყო დარღვევის არსებობა და შემდეგ განხილვის საგანს წარმოადგენდა მისი სიმძიმე.

ცენტრის წარმომადგენლის, თამარ შენგელიას განმარტებით, სტუდენტთა და მოსწავლეთა კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა შესაბამისი საბჭო, რომელიც წარმოადგენდა დამოუკიდებელ ორგანოს. ამასთან, განსახილველი საკითხები წარმოადგენდა ინდივიდუალურ შემთხვევებს.

საბჭოს წევრის, დავით კახნიაშვილის განცხადებით, ის გაეცნო სააპელაციო საჩივარს, მასზე თანდართულ დოკუმენტებს, საბჭოს სხდომის ოქმსა და წარმოების მასალებს. დოკუმენტების გაცნობის შედეგად, ის მიიჩნეოდა რომ ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო მართებული. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ნათლად იყო ფორმულირებული, რომ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდა ვერ მოხდებოდა არსებული გადაცდომების საფუძველზე. ამასთან, მისი მოსაზრებით დაწესებულების წარმომადგენლებს უნდა მოეყვანათ კონკრეტული ფაქტები და არ მოეხდინათ ამ ფაქტებისთვის კვალიფიკაციის მინიჭება. მან ასევე დასძინა, რომ დაწესებულების მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, ცენტრი და ავტორიზაციის საბჭო მიზანმიმართულად მოქმედებდნენ დაწესებულების საწინააღმდეგოდ, ეჭვს ბადებდა, რომ დაწესებულება ამის მტკიცებით, ცდილობდა მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები მიემალა. საბჭოს წევრი დაინტერესდა ასევე, მედიცინის მიმართულებით 2 000 ადგილის დამატების შემთხვევაში, როგორ უზრუნველყოფდა დაწესებულება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე უცხოენოვანი კადრების მოძიებას ქართულ რეალობაში.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მეთოდოლოგიის საფუძველზე მათ მიერ შემუშავებულ იქნა სპეციალური ფორმულა ექსელის ფორმატში, სადაც შეყვანილ იქნა ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რაც ჰქონდა დაწესებულებას სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრისთვის, მათ შორის ინგლისურენოვანი აკადემიური პერსონალი. აღებულ იქნა უმცირესი მონაცემი, რომელზე დაყრდნობითაც გამოანგარიშებულ იქნა ოპტიმალური რაოდენობა, რამდენი სტუდენტისთვის შეეძლო დაწესებულებას გაეწია საგანმანათლებლო მომსახურება. ამასთან,

საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით დადგენილი იყო კვირეული მაქსიმალური დატვირთვა აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის და აღნიშნულის შესაბამისად, ფორმულით იყო დაანგარიშებული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა, რომელსაც აკმაყოფილებდა დაწესებულება.

საბჭოს წევრების გადაწყვეტილებით მოხდებოდა დღის წესრიგით გათვალისწინებული დაწესებულების მეორე სააპელაციო საჩივრის განხილვაც და შემდგომ მიიღებდა საბჭო გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად თითოეული საკითხისთვის.

ა. თეთრუჭიძე

2. შპს ევროპის უნივერსიტეტის №7482 (ცენტრში რეგისტრაციის №1262513) სააპელაციო საჩივრის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და და საჩივართან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა დაწესებულებაში ორი აზერბაიჯანელი სტუდენტის მინდობილი პირის განცხადების საფუძველზე. ვიზიტის შესახებ ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ ექსპერტთა ჯგუფს ევალებოდა საჩივარში აღნიშნული გარემოებების ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით შეფასება. მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის თანახმად, 4 გარემოება იყო განხილული საჩივრიდან. დასკვნაში დაფიქსირებული იყო, რომ საჩივრის ავტორის მოსაზრებით, დაწესებულებაში აზერბაიჯანელი სტუდენტებისთვის სტატუსის შეჩერება განპირობებული იყო, ინდოეთიდან და ბანგლადეშიდან სტუდენტების მიღების სურვილით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული საფუძველით არცერთ აზერბაიჯანელ სტუდენტს არ ჰქონდა სტუდენტის სტატუსი შეჩერებული. დაწესებულებაში აზერბაიჯანელი სტუდენტებისთვის სტატუსების შეჩერების საფუძველებს წარმოადგენდა აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელი და ფინანსური დავალიანების ქონა. დასკვნაში აღნიშნულ მეორე გარემოებას წარმოადგენდა საჩივარში დაფიქსირებული ფაქტი, რომ აზერბაიჯანელ სტუდენტებს სტატუსი შეუჩერდათ ქართული ენის არ ცოდნის გამო. ეს გარემოება არ დადასტურდა ექსპერტების მიერ. სტუდენტის ყველა პირად საქმეში რაც ექსპერტებმა იხილეს, დაფიქსირებული იყო ზემოთ აღნიშნული სტატუსის შეჩერების საფუძველები, აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელი და ფინანსური დავალიანების ქონა. მესამე გარემოებას წარმოადგენდა, სტუდენტის, მურად ალიევის განცხადება, რომ მას უარი ეთქვა დაწესებულების მიერ სტუდენტის სტატუსის აღდგენაზე წერილობითი მიმართვის მიუხედავად. ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტის თანდასწრებით შეამოწმა აღნიშნული ინფორმაცია და აღმოჩნდა, რომ ელექტრონულ სისტემაში ასეთი განცხადება არ იყო დაფიქსირებული. ცოტა ხნის წინ ამ სტუდენტმა დაწერა განცხადება და აღუდგა სტუდენტის სტატუსი. ასევე, წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არ დასტურდებოდა აღნიშნული სტუდენტის რეალური ნება საჩივრის დაწერასთან დაკავშირებით. მეოთხე გარემოებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანელი სტუდენტების სტატუსის შეჩერება მოხდა, ვინმე სევიჩ რაჯაბოვის განცხადების საფუძველზე, რომელსაც შესაბამისი უფლებამოსილება არ გააჩნდა. ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული იყო, რომ ასეთი მინდობილობა წარმოდგენილ იქნა დაწესებულების მიერ. აღნიშნულის შესაბამისად,

დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით, საჩივარში აღნიშნული ყველა გარემოება მათ მიერ გაბათილებულ იქნა.

საბჭოს წევრი, გრიგორ ტატიშვილი დაინტერესდა, რა ენაზე სწავლობდნენ დაწესებულებაში აზერბაიჯანელი სტუდენტები.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული სტუდენტები ძირითადად სწავლობდნენ ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე. ამასთან, დაწესებულება ახორციელებდა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას. მცირე რაოდენობა აზერბაიჯანელი სტუდენტების სწავლობდნენ ასევე ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე.

საბჭოს წევრი, ირაკლი მჭედლიშვილი დაინტერესდა, აზერბაიჯანელი სტუდენტები ჯერ ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე სწავლობდნენ და შემდეგ ირიცხებოდნენ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე თუ აღნიშნული პროგრამის გავლის გარეშე ირიცხებოდნენ.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, აზერბაიჯანელი სტუდენტები დაწესებულებაში ირიცხებოდნენ ძირითადად ქართული ენის ტესტის საფუძველზე. თუ დადასტურდებოდა, რომ გარკვეულ დონეზე ფლობდა სტუდენტი ქართულ ენას, ის ირიცხებოდა უნივერსიტეტში. ამასთან, თავისუფალი კრედიტების ფარგლებში დაწესებულება სთავაზობდა მათ ქართული ენის შესწავლას.

საბჭოს წევრი, ლაშა გოცირიძე დაინტერესდა, ინახავდა თუ არა დაწესებულება ქართული ენის ცოდნის დამდგენი ტესტების მასალებს. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ყველა აზერბაიჯანელი სტუდენტის პირად საქმეში იყო წარმოდგენილი მათ მიერ ჩაბარებული ტესტი. საჩივარში მოხსენიებული ერთ-ერთი სტუდენტი გარე მობილობით იყო გადმოსული, ხოლო მეორე სტუდენტს ტესტის თანახმად უდასტურდებოდა მინიმალური კომპეტენციის გადალახვა. დოკუმენტაციის, კერძოდ საგამოცდო ნაშრომების შენახვასთან დაკავშირებით, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს არ წარმოადგენდა კონკრეტულად ავტორიზაციის სტანდარტს და არ იყო გაწერილი ავტორიზაციის დებულებაში შესაბამისი რეგულაცია. ამასთან, დაწესებულება მიიჩნევდა, რომ საჩივარში აღნიშნულ გარემოებებთან კავშირში არ იყო საგამოცდო ნაშრომების ვადის შენახვის საკითხი. წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე რეგულაციაში ცვლილება განხორციელდა და 3 წლის ვადით ხდებოდა საგამოცდო ნაშრომების შენახვა.

საბჭოს წევრი, ლაშა გოცირიძე დაინტერესდა, თუ აქამდე რა ვადით ხდებოდა საგამოცდო ნაშრომების შენახვა დაწესებულებაში.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, საგამოცდო ნაშრომების შენახვა ხდებოდა გასაჩივრების ვადის გასვლამდე. მას შემდეგ რაც სტუდენტს ენიჭებოდა სასწავლო კურსის გავლის შედეგად შესაბამისი კრედიტი, ხდებოდა საგამოცდო ნაშრომების განადგურება. ელექტრონულად ჩაბარებული გამოცდის შედეგები ინახებოდა სტუდენტების პირად საქმეებში. ამასთან,

Handwritten signature in blue ink.

წარმომადგენლის განცხადებით, ავტორიზაციის საბჭოს არ უმსჯელია და შესაბამისი დასაბუთება არ წარმოუდგენია, თუ რატომ შეუზღუდა დაწესებულებას სტუდენტების მიღება 3 წლის ვადით.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება მისცა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარეს, დავით აფრასიძეს.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის, დავით აფრასიძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის თანახმად, დაწესებულების მიერ დარღვეული იყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების 5.1 კომპონენტით გათვალისწინებული სტუდენტის სტატუსის მოპოვების/შეჩერების წესები. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებული იყო დაეცვა საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, კერძოდ, ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულება უნდა უზრუნველყოფდეს შესაბამისი ენობრივი კომპეტენციის მქონე პირების ჩარიცხვას. ექსპერტების შეფასებით, საჩივარში მოხსენიებულ სტუდენტებს არ უდასტურდებოდათ ქართული ენის ცოდნა. ამასთან, საჩივრის ავტორთან გასაუბრების ოქმში აღნიშნული იყო, რომ აზერბაიჯანელი სტუდენტები ირიცხებოდნენ დაწესებულებაში ქართულენოვან პროგრამებზე და ისინი არ ფლობდნენ ქართულ ენას. სტუდენტები ხშირ შემთხვევაში არც ესწრებოდნენ სასწავლო პროცესს. შუალედური გამოცდების საკითხი იმ კუთხით იყო მნიშვნელოვანი, რომ აღნიშნულით შეიძლებოდა ამ სტუდენტების ქართული ენის კომპეტენციის დადგენა. იმ ტესტის საფუძველზე, რომელსაც იყენებდა დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად, ვერ დასტურდებოდა სტუდენტის ქართული ენის ცოდნა. მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტორიც, რომ უეცრად მოხდა აზერბაიჯანელი სტუდენტების უმრავლესობისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერება. ეჭვქვეშ დგებოდა ის გარემოებაც, რომ წინა წლებში აღნიშნული სტუდენტების აკადემიურ რეგისტრაციას ახორციელებდა დაწესებულება, ხოლო მიმდინარე წელს დაწესებულებამ შეუჩერა მათ სტატუსი ამ საფუძველზე. ამასთან, საბჭოს განმარტებით, 500-მდე სტატუსშეჩერებული აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტისთვის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, შეუძლებელი იქნებოდა, მათ მიერ ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების დასრულება. ასევე საგულისხმო იყო ის გარემოებაც, რომ დაწესებულებაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით არ ინახებოდა სტუდენტთა საგამოცდო ნამუშევრები, რაც შეუძლებელს ხდიდა დადასტურებულიყო, ფლობდნენ თუ არა აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტები ქართულ ენას იმ დონეზე, რომ დაეძლიათ ქართულენოვანი პროგრამები. ამდენად, ავტორიზაციის სტანდარტის 2.1. კომპონენტი საქმისწარმოების ნაწილში ჩაითვალა სტანდარტის მოთხოვნასთან შეუსაბამოდ. დავით აფრასიძემ ასევე აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭო არ წარმოადგენდა საგამომიებო ორგანოს და მის კომპეტენციაში არ შედიოდა ფაქტების დადასტურება. აღნიშნული საკითხის განხილვისას საბჭო მსჯელობდა რამდენად ხარისხიანად მიმდინარეობდა დაწესებულებაში სასწავლო პროცესი. სხდომის ოქმში დაფიქსირებული იყო ასევე, საბჭოს შუამდგომლობა ცენტრისადმი, რომ წარმოების მასალები შემდგომი რეაგირების მიზნისთვის გადაცემულიყო უფლებამოსილი ორგანოებისთვის.

საბჭოს წევრი, ლაშა გოცირიძე დაინტერესდა, რამდენად ხშირად ჰქონდა ადგილი დაწესებულებაში განცხადებების დარეგისტრირების გამორჩენას, როგორი შემთხვევაც ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში

ს. თეთრ-ჭი

იყო დაფიქსირებული. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ასეთი ფაქტი სხვა არ დაფიქსირებულა.

საბჭოს წევრი, გრიგორ ტატიშვილი დაინტერესდა, თუ რა რაოდენობის აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტები სწავლობდნენ დაწესებულებაში ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე ძალიან მცირე კონტინგენტი იყო დარჩენილი აზერბაიჯანელი სტუდენტების, დაახლოებით 30-მდე სტუდენტი. მათთან მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა ქართული ენის შესაბამის დონეზე სწავლებასთან დაკავშირებით, თავისუფალი კრედიტების ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარის, ნინო ოკრიბელაშვილის განცხადებით, ივნისის თვეში, როდესაც დაწესებულებაში განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტები, აზერბაიჯანელი სტუდენტები არ იმყოფებოდნენ დაწესებულებაში და არ დასტურდებოდა მათი ჩართულობა სასწავლო პროცესში. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რით იყო განპირობებული აღნიშნული გარემოება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ივნისის თვეში 80-მდე აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტი ირიცხებოდა დაწესებულებაში. მისი განცხადებით გამოცდების გადაბარების პერიოდი იყო და აშკარა არ იმყოფებოდნენ ეს სტუდენტები.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული იყო, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს არ ჰქონიათ პოზიცია იმის შესახებ, თუ რით იყო გამოწვეული აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტების გადინება უნივერსიტეტიდან და მათი მხრიდან აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა, მაშინ როდესაც რიგ შემთხვევებში სწავლის საფასური გადახდილი ჰქონდათ.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული სტუდენტების მიერ აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა მათი ვარაუდით განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ მათ არაერთხელ ჰქონდა ეს სასწავლო კურსები არჩეული და დადებითი შეფასება არ ჰქონდათ მიღებული. აღნიშნულის შესაბამისად, ამ სტუდენტებმა დაკარგეს ინტერესი გაევიდნენ აკადემიური რეგისტრაცია. ამასთან, სხვა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შესთავაზა მათ უფრო დაბალი სწავლის საფასური, სწორედ ამ მიზეზით მოხდა დიდი რაოდენობით სტუდენტების გადინება.

საბჭოს წევრი, დავით კახნიაშვილი დაინტერესდა, თუ რომელი წლიდან ირიცხებოდნენ დაწესებულებაში აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტები და აღნიშნული სტუდენტების ქართული ენის კომპეტენციის დასადასტურებლად, ენის ცოდნის დამდგენი ტესტის გარდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას სხვა მტკიცებულებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2014 წლიდან ირიცხებოდნენ აღნიშნული სტუდენტები. მისი განმარტებით, ენის ცოდნის დამდგენი ტესტი ყველა სტუდენტის შემთხვევაში

ნ. თეთრე-ჭი

შენახული იყო, ხოლო საგამოცდო ნაშრომების შენახვა დაწყებულ იქნა რეგულაციაში ცვლილების განხორციელების შემდეგ.

საბჭოს წევრმა, დავით კახიაშვილმა დამატებითი კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ქართული ენის ცოდნის დამდგენ ტესტთან დაკავშირებით, თუ რატომ ითლებოდა კომპეტენცია დადასტურებულად მხოლოდ ტესტური დავალებების შესრულების საფუძველზე და რატომ არ მოეთხოვებოდა სავალდებულოდ სტუდენტს წერიითი დავალების შესრულებაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ტესტური დავალება ითვალისწინებდა ასევე მოსმენილის გააზრებას და აღნიშნულის საფუძველზე ტესტური სახით კითხვებზე პასუხის შემოხაზვას. ტესტი შედგებოდა 4 კომპონენტისგან და უმჯობესი იქნებოდა შიდა ბარიერები ყოფილიყო დადგენილი თითოეულ კომპონენტში.

საბჭოს წევრის, ნინო დობორჯგინიძის განცხადებით, სულ მცირე A2 დონეზე ენის ცოდნის დადასტურებისას, სავალდებულო იყო, რომ პირის მიერ შესრულებულიყო წერიითი კომპონენტი.

საბჭოს თავმჯდომარის, ნინო ოკრიბელაშვილის განმარტებით, B2 დონე ითვლებოდა გაწაფულობის საშუალო დონედ. ენის ამ დონეზე მცოდნეს უკვე უნდა შეძლებოდა თავისუფლად გაერთმია თავი ენის ძირითადი სტრუქტურისთვის, გამოეყენებინა სხვადასხვა სიტუაციის შესაბამისი კომუნიკაციის სტრატეგიები, იგი ფლობდა ფართო ლექსიკას, მოსმენისა და კითხვისას სცილდებოდა ფაქტობრივი ინფორმაციის ცალკეული პუნქტების გაგებას, შეეძლო განესხვავებინა ძირითადი და მეორეხარისხოვანი საკითხები, ტექსტის ზოგადი თემა და სპეციფიური დეტალები. ასევე, მას უნდა შეძლებოდა ტექსტის წერისას როგორც არგუმენტის ჩამოყალიბება, ასევე მოვლენის აღწერა და თხრობა.

საბჭოს წევრმა, ლაშა გოცირიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება სააპელაციო საჩივარში აპელირებდა იმ გარემოებაზე, რომ პროფესიით იურისტი ექსპერტების მიერ როგორ მოხდა აზერბაიჯანელი სტუდენტის ენის ცოდნის საკითხის გამორკვევა. საბჭოს წევრი დაინტერესდა, დაწესებულების მოსაზრებით, საჭირო იყო თუ არა ფილოლოგიური განათლება იმისთვის, რომ გასაუბრებისას დაედგინა ექსპერტს, სტუდენტი საუბრობდა თუ არა ქართულ ენაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შესაძლოა გასაუბრებისას პირს დაედგინა ქართულის ენის ცოდნის ფაქტი, თუმცა შესაბამის დონეს ვერ განსაზღვრავდა. ამასთან, სატელეფონო საუბრით ინტერვიუს ჩატარებისას, ეჭვქვეშ დგებოდა შესაბამისი პირის იდენტიფიკაციის საკითხი. წარმომადგენელმა დამატებით განაცხადა, რომ 3 წლით სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის შედეგად მნიშვნელოვნად ფერხდებოდა დაწესებულების განვითარების საკითხი. ამასთან, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ ემსახურებოდა სწავლებას ხარისხის ამაღლებას. იმ პირობებში, როდესაც დაწესებულებამ მცირე დროის მანძილზე დიდი პროგრესი აჩვენა, დაწესებულებას უნდა მიცემოდა შესაბამისი დრო, ხარვეზების

აღმოსაფხვრელად და შემდგომ მონიტორინგის რეჟიმში უნდა მომხდარიყო აღნიშნულის გადამოწმება.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ განაცხადა, რომ დაწესებულებისათვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება იმ მიზეზით არ იქნა საბჭოს მიერ მიღებული, რომ სწორედ პროგრესი დაინახა ექსპერტთა ჯგუფმა სხვადასხვა ასპექტში კონტინგენტის გაზრდის წარმოების დროს. ამასთან, დავით აფრასიძის მოსაზრებით, უმჯობესი იქნებოდა, დაწესებულებას თავიდანვე გამოეაშკარაებინა ის პრობლემური საკითხები, რაც გამოვლინდა ექსპერტთა შეფასების დროს, უნდა მომხდარიყო აღიარება, რომ არასწორად მოხდა აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტების ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა და არ უნდა მომხდარიყო შემდგომში მათ მიერ აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობაზე აქცენტის გაკეთება და გადაბრალება სტუდენტებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო ოკრიბელაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, დამატებითი შეკითხვები ხომ არ ჰქონდათ. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით დასძინა, რომ ისინი იაზრებდნენ გარკვეული დარღვევების არსებობის ფაქტს და აღნიშნულ საკითხებზე აქტიურად მუშაობდნენ. დაწესებულება იყო ორიენტირებული მუდმივ განვითარებაზე, მათ შორის სწავლების ხარისხის ამაღლების კუთხით.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 20:38 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა 21:10ზე.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ორივე საჩივრის განხილვის დროს გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან სახეზე იყო, როგორც ავტორიზაციის დებულებით დადგენილი, ასევე უმაღლესი განათლების სფეროში არსებული სამართლებრივი ნორმების დარღვევის არაერთი ფაქტი. შესაბამისად, სააპელაციო საბჭოს მიაჩნდა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორივე გადაწყვეტილება აკმაყოფილებდა მიზანშეწონილობისა და კანონიერების პრინციპებს.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს ევროპის უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდაზე უარის თქმის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 აგვისტოს №49-ე გადაწყვეტილების გაზიარების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

ნ. თეთრე-ჭიკ

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26⁷-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაზიარებულ იქნეს „შპს ევროპის უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდაზე უარის თქმის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 აგვისტოს №49 გადაწყვეტილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს ევროპის უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 აგვისტოს №50-ე გადაწყვეტილების გაზიარების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8


წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26⁷-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაზიარებულ იქნეს „შპს ევროპის უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 აგვისტოს №50-ე გადაწყვეტილება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 21:15 საათზე.

თავმჯდომარე
ნინო ოკრიბელაშვილი



მდივანი
ნინო დობორჯგინიძე

